



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბეგობივ ბუქ-
უბი სიფყვას, ფყილუბით და ჭბრბით ბუბ-
თის გაცანა ყულა უკადრისბბბბუ უსბბბბბბბ.

გაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 12 ოქტომბერი. 2022 წ. №160 (9498) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

როგორ გარდავქმნათ რუსეთი, თუ...



ნ. 6 გვ.

როგორ დავაგარსხოთ რუსეთი?

„სწორად ამ მიზნით „სტრატეგი-
ულმა მიგობარმა“ რუსეთმა, რომ-
ლიც აბტიურად ცდილობს აფხაზეთ-
ში საქუთარი პოლიტიკური, ეკონომი-
კური და სხვა ინტერესების განხორ-
ცილვას, მაგრამ ადგილობრივთა
წინააღმდეგობას აწყდობა, გა-
დაწყვიტა, კვლავ გაყოფიანებინა
კარგად აპრობირებული მეთოდი
მტრის ხატის აბტივაციის ხაზით,
„მტარი“ კი, ცხადია, თბილისია. ჰოდა,
ინალ არკინვაც რუსი ზემდგომების
დავალებით ამ მიგართულებით მუხ-
ლგაუხრებლად შრომობს.



რით და
რისთვის აუინებს
აფხაზებს
„კონტრმზერაპი-
მინისტრი“
ინალ არკინვა?

საქართველოში უსვლის
მიზნით ქორწინებაზე
იქულება და პირის
დაყოლიება დანაშაულია! 11

როგორ გადავჭრათ
კვლივისიური მუხახელის
დუვისიტის უმნავესი
კრობლევა?! 5

„გვ პირველის“
გორიბი 5
სივრუე 5
ფუბაფიფიფი
ვათაქვსვათა
საუკუნეუი ნარნა
TV/ვირვადი



სოსომ თხარა, თხარაო,
უვიდწლიანი სისე
გაგომთხარაო 5
გოგაფვილს ბრალი დაუბიდა

დავით ჭითავა:

„დედის
ცრემლები“

ნ. 5 გვ.

ზვავუი მოყოლილი
300-ზე მეტი
გერმანელი
ჯარისკაცის სხედარი
დღესაც განისვენებს
კავკასიონის მთებში!

რეპტორი
გადადგა!
რატომ? 7

თსუ-ს რეპტორის
მოვალეობის
უმსრულებლის
კანდიდატად
მიხეილ ჩხენკელი
არ განიხილება

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს განცხადება საქართველოს განათლე-
ბისა და მეცნიერების სამინისტრო ეზმიანება ზოგი-
ერთ მედიასაშუალებაში გავრცელებულ დეზინ-
ფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოს თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალე-
ობის უმსრულებლის კანდიდატად საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ
ჩხენკელი განიხილება.
სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ
აღნიშნული ინფორმაცია არის სიცრუე. საქართვე-
ლოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი არ აბ-
ირებს არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის მოვალეობის უმსრულებლის არჩევნებ-
ში და სამომავლოდ, არც უნივერსიტეტის რექტო-
რის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას“.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე გულისხმობს აღნიშვნას. თბილისის საკონცერტო დარბაზში წარსდგნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, აგრეთვე, იოსებ ტულუშის სახელობის საუნჯერ-სიტეტო ორკესტრი, საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ძველი და ახალი თაობის ცნობილმა მომღერლებმა და ინსტრუმენტალისტებმა.

სტუმრებს კონცერტის დაწყებამდე შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუკუნოვანი ისტორიის ამსახველი ფოტოკოლონიკა და არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტისა და დიზაინის საერთაშორისო სკოლის სტუდენტთა მიერ შესრულებული ნამუშევრები.

გაზაფხულში საქართველოს რისკ-სადავო კიდევ ერთხელ ულოცავს საქართველოს უდიდეს უნივერსიტეტს სახალხოვან იუბილეს.

ფართო გზა ახალგაზრდებს!!

თბილისში წულუპიანი კულტურის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ სტაჟიორებს შეხვდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი და მინისტრის მოადგილე ირაკლი გვიგიაშვილი სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების სტაჟიორთა კონკურსის შედეგად გამოვლენილ წარმატებულ კანდიდატებსა და სტაჟიორების ხელმძღვანელებს შეხვდნენ.



კონკურსის შედეგად შეირჩა 24 კანდიდატი, რომლებიც მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლომდე, სამინისტროს აპარატსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებში ანაზღაურებად სტაჟიორებად იმუშავებენ, კერძოდ: რვა სტაჟიორი დასაქმდა სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუზეუმთა ჯგუფებში, მათ შორის – გ. ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხალხური ხელოვნების მუზეუმისა და ყოფილი მუზეუმში, ქართული სპორტის მუზეუმში, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

წყალტუბოში, საკონცერტო დარბაზ „ივერიასთან“ ღირსება „ნიგნის ბუდე“ გაიხსნა

წყალტუბოში, საკონცერტო დარბაზ „ივერიასთან“ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისა და „პროკრედიტ ბანკის“ პროექტის ფარგლებში წიგნის ბუდე გაიხსნა. ეს არის ადგილი პარკში, სადაც ნებისმიერ ადამიანს შესაძლებლობა ექნება წიგნი აიღოს, ადგილზე წაიკითხოს, სახლშიც წაიღოს და სანაცვლოდაც მოიტანოს. ეს პროექტი საქარ-



თველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ დიდ ქალაქებში უკვე განახორციელა.

„წიგნის ბუდე“ გახსნაზე წყალტუბოში იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი, მსახიობი მაკა შალიკაშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი ლოლა სანაია და „პროკრედიტ ბანკის“ წარმომადგენლები. პროექტი „წიგნის ბუდე“ წყალტუბოში მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა.

„თუშეთი - ჩემი მეგობარია“

საქართველოს ეროვნული ფონდის ინიციატივითა და მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდის მხარდაჭერით 15 ოქტომბერს, შაბათს, 15:00 საათზე საქართველოს ეროვნულ ფონდში გაიმართება კონკურსის – „თუშეთი – ჩემი მეგვიდრობა“ დაჯილდოება.

მათივე ინიციატივით, კონკურსი 2021 წელს გამოცხადდა. გამოვლინდა 9 გამარჯვებული თუშეთის სოფლებიდან – დართლო, ომალო და ალვანის მუნიციპალიტეტიდან. მონაწილეებმა საკონკურსო წინადადებებში წარადგინეს როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის თვალსაჩინო მაგალითები. მათ გადაეცემათ ფულადი ჯილდო და სიგელი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის.

საქართველოს ეროვნული ფონდის შენობა მე-18 საუკუნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს. დაჯილდოებისთვის კონკურსში გამარჯვებული თუშეთი ესტუმრებიან ფონდს. დღის განმავლობაში დაგეგმილია: კონკურსანტების დაჯილდოება; ფოტორეპორტაჟის გამოფენა თუშეთის ყოფილი ცხოვრების შესახებ; საღამოს მუსიკალურად გააფორმებს მომღერალი მარი ხაჩიძე და ფოლკლორის სახლის წარმომადგენლები ალვანიდან; წარმოდგენილი იქნება ხელოვან ნინუცა შატბერაშვილის სუფრა-პერფორმანსი, სადაც შესაძლებელი იქნება თუშეთის სამზარეულოს დაგემოვნება; ასევე, ღონისძიებაში მონაწილეობს ალვანელი ლევან მიქელაძე, რომელიც მსურველებს შესთავაზებს თუშური ყავას და ასევე ერბოიან ყვას, რომელიც მზადდება ქუმელისაგან (ქერისაგან).



ღვინის ფესტივალი მოეხატა

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, გუშინ ოზურგეთში ღვინის ფესტივალი – „ღვინის დღეები საქართველოში“ გაიმართა, რომელსაც გურიის მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

„ღვინის დღეების“ ფარგლებში სამკუთხა სკვერში დაინჭრა ყურძენი; მოეწყო ღვინის დეგუსტაცია და გამოფენა-გაყიდვა; ღია კაფეტერია; ქართული სუფრა და



ფოლკლორი. ჩატარდა თინაზე ძერწვის მასტერკლასი და სახალისო აქტივობები ბავშვებისთვის.

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა და კარგი შესაძლებლობა ჩვენი მემკვიდრეობისთვის – წარმოაჩინონ თავიანთი უნიკალური პროდუქცია და პოპულარიზაცია გაუწიონ გურულ ღვინოს. ოზურგეთის სახელით, მადლობას ვუხდით საქართველოს მთავრობას მხარდაჭერისთვის. მადლობა ჩვენს თანამოქალაქეებს და ადგილობრივ მემკვიდრეებს ფესტივალში მონაწილეობისა და დასწრებისთვის“, – აღნიშნა, ოზურგეთის მერმა, ავთანდილ თალაკვაძემ. ფესტივალს ახსამბლ „აფხაზეთის“ კონცერტით დასრულდა.

სულ-ზარზმის გზის აღდგენა ბრძოლა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის

ბათუმი (ანგისა) – ახალციხის საავტომობილო გზაზე სულ-ზარზმის მონაკვეთის რეკონსტრუქცია აქტიურად გრძელდება. პროექტი 3 მონაკვეთად დაყოფილი და ჯამში რეაბილიტაციარეკონსტრუქცია 47 კილომეტრიან გზას ჩაუტარდება.



პირველ მონაკვეთზე სამუშაოები ქუვეითის ფონდის მიერ მხარდაჭერით მიმდინარეობს, ხოლო მეორე და მესამე მონაკვეთები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. სამუშაოების საერთო ღირებულება 95 689 302 ლარია. სულ-ზარზმის გზის პროექტით გათვალისწინებულია 2-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა. პირველ და მეორე მონაკვეთებზე, რომელიც ჯამში 42 კმ-ს მოიცავს, ამ დროისთვის, მინის ექსკავაციის, საყრდენი კედლებისა და წყალგამტარი ნაგებობების მოწყობის 70%-ზე მეტი უკვე დასრულებულია. პარალელურ რეჟიმში, აქტიურად მიმდინარეობს 4 ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობა. გზის საფუძვლის სტაბილიზაციისა და ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების. ამ ეტაპზე, საფარი 2 კმ-მდე მონაკვეთზე უკვე დაგებულია, ხოლო წლის ბოლომდე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა დაგეგმილია 15 კმ-მდე მონაკვეთზე.

თელავის 24 საათიანი წყალმომარაგებისთვის 31 მილიონი ლარი იხარჯება

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წყალმომარაგების კომპანია ქალაქ თელავის უწყვეტი წყალმომარაგებისათვის ორ პროექტს ასრულებს. უკვე შესრულებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ და კონტრაქტორი კომპანიისგან პროექტით დაგეგმილ შემდგომ სამუშაოებზე დეტალური ინფორმაცია მოისმინეს, წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა, ალექსანდრე თევდორაძემ და კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ალადაშვილმა, – ამის შესახებ ინფორმაციას გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.



მათივე ინიციატივით, თელავში, არსებული წყალმომარაგების სისტემა მოძველებულია, რის გამოც მოსახლეობას წყალი შეზღუდვით მიეწოდება. გამართული წყალმომარაგებისა და წყლის დებიტის გაზრდისთვის, ორი პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს ინტენსიური სამუშაოები. ამ დროისთვის, უკვე დასრულდა თელავში „წინმატიანის“ პროექტით გათვალისწინებული 11 კმ-იანი მაგისტრალიდან 9 კმ-ის მოწყობა, დარჩენილი 2 კმ-ის მოწყობა წლის ბოლოს დასრულდება. ქალაქის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის, დამატებით, მიმდინარეობს ახალი სისტემების მშენებლობა, რომლის დასრულება მომავალი წლის დასაწყისში იგეგმება. სამუშაოები საქართველოს მთავრობისა და აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით მიმდინარეობს.

ქართული თაფლი მსოფლიოს იპყრობს

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით საქართველოდან იანვარ-აგვისტოში ექსპორტზე 164 ტონა თაფლი გავიდა, რაც საქონლის ექსპორტის ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია. თაფლისაგან მიღებულმა შემოსავალმა 701 ათასი დოლარი შეადგინა.

გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 74.1%-ით გაიზარდა. 2022 წელს თაფლი ყველაზე დიდი რაოდენობით ბულგარეთში გავიდა, თუმცა სტაბილურად ყველაზე მეტი მომხმარებელი საფრანგეთში, იაპონიასა და ისრაელში დასტურდება.

აღსანიშნავია, რომ ქართული პროდუქტი აფრიკისა და აზიის კონტინენტზეც კარგად იკიდებს ფეხს. საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, სენეგალი, ეს ის ქვეყნებია, სადაც სულ უფრო მეტი მოთხოვნა ჩვენს თაფლზე იმედია, შემდეგ წლებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდება.



ქვირჯასო მკითხველი

ომში გამარჯვებულები არ არსებობენ, დამარცხებულია ყველა, ვინც მასში მონაწილეობდა და სიცოცხლე გასწორა მავანთა ამბიციების გამო, განურჩევლად ერისა და სარწმუნოებისა.

თითოეულ დაღუპულ ჯარისკაცს, რომელსაც სწამდა, რომ თავის სამშობლოს, ქვეყნად სიმშვიდეს და მომავალ თაობებს იცავდა (რაც, სამწუხაროდ, ყოველთვის არ ყოფილა ასე), – ამერიკელს, ინგლისელს, რუსს, უკრაინელს, ქართველს, აფხაზს, ოსს, ჩეჩენს, ავღანელს (მათი ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება და შორს წაგვიყვანს) დედის, დის, მეუღლის, სატრფოს, შვილების უნუგეშო ცრემლი გაჰყვა თან. ბევრს საფლავიც არ ღირსებია, ყველა მათგანს შინ ცოცხლად დარჩენილთა სულიერი ტკივილი აერთიანებს, მათ შორის ქართველი დედებისაც, რომლებიც ოდითგანვე მეტოქის დედის დარდის თანაზიარნი გახლდნენ.

სანამ ჩვენი ფონდის საქმიანობაზე გადავიდოდე, მოგანვდით ერთ საინტერესო ისტორიას, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს საქმიანობას: ბიძაჩემი, აპალონ ხორავა იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და იბრძოდა ქალაქ ნიკოლაევის მიდამოებში. ერთხელ ის მდინარის გადმოცურვისას დაჭრილა ფეხში და გარდაუვლი სიკვდილისგან უსსნია გერმანელ ოფიცერს, რომელიც იქ შემთხვევით აღმოჩნდა. წყლიდან ამოუყვანია და ფეხს რომ უხვევდა, თვითონაც ბრმა ტყვია მოხვედრია და მძიმედ დაჭრილა. როცა გერმანელი მიხვდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა, მოუსხნია ყელზე დაკიდებული ამულეტი და მიუტია ბიძაჩემისთვის, სახლში რომ დაბრუნდები, დედაშენს გადაეცი გერმანელი დედებისგან საჩუქრადო!.. თან უთქვამს, რომ ეს ამულეტი დედაჩემის დალოცვილი თილისმამა და როცა ომში მოვდიოდი, გულზე დამკიდაო... ამ ამულეტს სცხია იმ დედების ცრემლი, რომლებიც თავიანთ შვილებს თვალცრემლიანები აცილებდნენ ომში.

ყველაზე გასაოცარი ჩემთვის ის იყო, რომ იმ გერმანელ ოფიცერს უთქვამს: გერმანელი დედების უმეტესობა უფრო მეტად განიცდიდნენ არა იმას, რომ შვილი შეიძლება გარდაცვლილიყო ომში, არამედ იმას, რომ მის შვილს ვილაც უცხო დედისთვის შვილი უნდა მოეკლაო. ლაპარაკის მერე ის გერმანელი ოფიცერი მაღვევ გარდაცვლილა, ხოლო დაჭრილი ბიძაჩემი თავისიანებს ჯერ ნაწილში, ხოლო იქიდან ქალაქ ბაქოს ჰოსპიტალში გადაუყვანიათ. იმ ჰოსპიტალში ერთი დაჭრილი, ცალფეხა ჯარისკაცი წოლილა ბიძაჩემის მეზობელი სოფლიდან, ბიძაჩემს ამ კაცისთვის გაუტენვია ეს ამულეტი, რომელმაც ბეზბაჩემს გადასცა წერილთან ერთად, ხოლო ბიძაჩემი კი გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ დაბრუნდა ფრონტის ხაზზე, სადაც ის მოკლეს 1944 წლის 23 მარტს და დაკრძალულია ქ. ნიკოლაევის ძმათა სასაფლაოზე.



ეს ანულეტი ბეზბაჩემმა მე მიანდარა სიკვდილის წინ და დღესაც სათუთად ვინახავ. როცა წამოვიგარღე და გავესწობი ბიძაჩემს გერმანელი დედების სულიერი საყვარო და ჰუმანურობა, გაღვწევიტა – ჩემი სიცოცხლის მიგანი მსოფლიოში მშვიდობის დასვიტვის ხელშეწყობა ყოფილიყო.



„დედის ცრემლები“

ზავუნი მოყოლილი 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცის სხელოები დღესაც განისვენებს კავკასიონის მთებში!

ბეზბაჩემმა ეს ამულეტი მე მიანდარა სიკვდილის წინ და დღესაც სათუთად ვინახავ. როცა წამოვიგარღე და გავაცნობიერე გერმანელი დედების სულიერი სამყარო და ჰუმანურობა, გადავწყვიტე – ჩემი სიცოცხლის მიზანი მსოფლიოში მშვიდობის დაცვისთვის ხელ შეწყობა ყოფილიყო.

ეს მიზანი დღეს, ამ უკიდურესად დამაბულ გარემოში, მნიშვნელოვანად და პოლიტიკურად გამართლებულ ნაბიჯად მიმაჩნია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ პროგრესულად მოაზროვნე მთელი კაცობრიობისთვის.

სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებდი, ვიმოგზაურე მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნებში, სადაც ვხვდებოდი სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლებს, სასულიერო პირებს, პოლიტიკოსებს და როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ნამდვილად სწორ გზას ვადექი, 2014 წელს დავაარსეთ „საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, „დედის ცრემლები“, რომლის მთავარი მიზანი მშვიდობის სახლის აგებაა, სადაც თითოეული აგური დაიდება ყველა იმ ჯარისკაცის სახელის უკვდავსაყოფად, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში მნიშვნელოვანი დღემდე, შეწირენ სხვადასხვა ომებსა თუ შეიარაღებულ კონფლიქტებს, მიუხედავად იმისა თუ რომელ მხარეს იბრძოდნენ ისინი.

პირადად მე და ყველა ადამიანი, ვისთანაც კი წამოვჭერი ეს საკითხი, დარწმუნებულნი ვართ, რომ ჯარისკაცის ბრალეულობა ნებისმიერ ომში მინიმალურია! უფრო მეტიც, ჯარისკაცები გარკვეულწილად საკუთარი ქვეყნის გამირები არიან, რადგანაც სიცოცხლის ფასად ემსახურებიან თავიანთ ქვეყანას, ხოლო პასუხისმგებლობა ომზე უნდა დაეკისროს იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც კონფლიქტის გაჩაღების პერიოდში იყო ხელისუფლების სათავეში. აქ ლაპარაკია გერმანელებზე, რუსებზე, იტალიელებზე, იაპონელებზე, უკრაინელებზე, ქართველებზე, აფხაზებზე, ოსებზე და სხვადასხვა ეროვნების შვილებზე.

ასლა კი მიინდა გიამბოთ იმ 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცის შესახებ, რომლებიც კავკასიონის მთის ერთ-ერთ ხეობაში ზვავში მოყოლილი და ჩამარხულნი არიან ყინულში. ამ ადგილს შემთხვევით წააწყდნენ მონადირეები და მაშინვე მოგვმართეს ჩვენ, რათა როგორმე ჩამოგვესვენებინა ისინი, მოგვეხდინა მათი იდენტიფიცირება და ხმა მიგვეწვდინა მათი ოჯახის წევრებისთვის.

ჩვენ ამის შესახებ ვაცნობეთ გერმანიის საელჩოს საქართველოში, ასევე საქართველოში მდებარე სხვა გერმანულ ორგანიზაციებს. იმედი გვაქვს, საქართველოს მთავრობა და საზოგადოება, ასევე ის სახელმწიფოები და რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები, რომლებსაც შორის მშვიდობისა და მეგობრობის იდეა, ომი და ძალადობა კი მიუღებელი, მხარს დაგვიჭერენ და ყოველმხრივ შეგვიწყობენ ხელს, რომ ეს იდეა არ დარჩეს „სმად მალაღებლისა უდაბნოსა შინა“.

„გმირთა სავანე“, ასე გვინდა ეწოდოს პარკს, რომელიც გაშენდება თბილისის შემოგარენში, სადაც თითოეული დარღული ხე იქნება ყველა იმ ჯარისკაცის სახელობისა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე შეწირენ სხვადასხვა შეიარაღებულ კონფლიქტებს, ასევე იმ უცხოელ სამხედრო ტყვეთა სახელზეც, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არიან დაკრძალულნი. ამ პარკს ექნება განსაკუთრებული სულიერი დატვირთვა, ამით ჩვენ მათ ვაჩუქებთ ახალ სიცოცხლეს. გარდა ამისა, პარკის გაშენებას უდიდესი ეკოლოგიური მნიშვნელობა ექნება, რამდენადაც ჩვენი პლანეტა დღეს ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზე.

კარგი იქნება თუ საქართველოს ამ საშვილიშვილო და უაღრესად კეთილშობილური იდეის განხორციელებაში ჩაგვერთვებიან სხვა ქვეყნებიც, გერმანია, იტალია, იაპონია, საფრანგეთი და სხვა. მოგვბაძვენ ჩვენ და თავიანთ ქვეყნებში გააშენებენ ანალოგიური პარკებს, რითაც მეორე სიცოცხლეს აჩუქებენ თავიანთ გარდაცვლილ ჯარისკაცებს და ასევე უდიდეს წვლილს შეიტანენ ჩვენი პლანეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს საქმეში.


დიდი იმედი მაქვს, რომ ამ კეთილშობილურ წამოწყებაში გვერდით დაგვიდგება საქართველოს თითოეული მოქალაქე, ვისთვისაც მნიშვნელოვანია მათთვის ძვირფასი ადამიანების სსოვნა და მომავალი, თაობებისთვის სუფთა გარემოს შექმნა. ასევე, თხოვნით მივმართავთ ბიზნესმენებს, ხელოვნების, კულტურისა და სპორტის წარმომადგენლებს, ქალაქის მერიას და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, დახმარება აღმოგვიჩინონ ამ კეთილშობილური იდეის განხორციელებაში.

დავით ჭითავა, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „დედის ცრემლები“ გამგეობის თავმჯდომარე.

ვლილ ჯარისკაცებს და ასევე უდიდეს წვლილს შეიტანენ ჩვენი პლანეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს საქმეში.

დიდი იმედი მაქვს, რომ ამ კეთილშობილურ წამოწყებაში გვერდით დაგვიდგება საქართველოს თითოეული მოქალაქე, ვისთვისაც მნიშვნელოვანია მათთვის ძვირფასი ადამიანების სსოვნა და მომავალი, თაობებისთვის სუფთა გარემოს შექმნა. ასევე, თხოვნით მივმართავთ ბიზნესმენებს, ხელოვნების, კულტურისა და სპორტის წარმომადგენლებს, ქალაქის მერიას და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, დახმარება აღმოგვიჩინონ ამ კეთილშობილური იდეის განხორციელებაში.

„გმირთა სავანე“, ასე გვინდა ეწოდოს პარკს, რომელიც გაშენდება თბილისის შემოგარენში, სადაც თითოეული დარღული ხე იქნება ყველა იმ ჯარისკაცის სახელობისა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე შეწირენ სხვადასხვა შეიარაღებულ კონფლიქტებს, ასევე იმ უცხოელ სამხედრო ტყვეთა სახელზეც, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არიან დაკრძალულნი. ამ პარკს ექნება განსაკუთრებული სულიერი დატვირთვა, ამით ჩვენ მათ ვაჩუქებთ ახალ სიცოცხლეს. გარდა ამისა, პარკის გაშენებას უდიდესი ეკოლოგიური მნიშვნელობა ექნება, რამდენადაც ჩვენი პლანეტა დღეს ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზე.



თოეული მოქალაქე, ვისთვისაც მნიშვნელოვანია მათთვის ძვირფასი ადამიანების სსოვნა და მომავალი, თაობებისთვის სუფთა გარემოს შექმნა. ასევე, თხოვნით მივმართავთ ბიზნესმენებს, ხელოვნების, კულტურისა და სპორტის წარმომადგენლებს, ქალაქის მერიას და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, დახმარება აღმოგვიჩინონ ამ კეთილშობილური იდეის განხორციელებაში.



დავით ჭითავა, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „დედის ცრემლები“ გამგეობის თავმჯდომარე.



საქართველოს სსრ.

ქლუხორისა და ახალხევის რაიონები. 1945 წელი

1940 წლისათვის ჩრდილოკავკასიელი ხალხები ძირითადად უკვე საკმაოდ მყარად იყვნენ მოქცეულნი „ერთიან საბჭოთა ძმურ ოჯახში“, მაგრამ არსებობდა მდღის მფორე მხარეც – ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში, მაღალმთიან აულებსა თუ სოფლებში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი კომუნისტებისადმი სიძულვილი, რუსებისადმი არამეგობრული და ხშირად, მტრული დამოკიდებულება. მთებში მოქმედებდნენ წინააღმდეგობის რაზმები, რომლებმაც ჩეკისტები ბანდიტებად მოიხსენიებდნენ და დაუნდობლად ებრძოდნენ.

მიერ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მრძოლის მიზნით ორგანიზებულ რაზმებში, აშეზღუდნენ გერმანელების წინაშე პატიოსან საბჭოთა ადამიანებს, თან მიპყვებოდნენ და გზას უჩვენებდნენ უღელტეხილებზე ამიერკავკასიისაკენ მიმავალ გერ-

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების შემდეგ მთიელთა წინააღმდეგობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ევროპაში მყოფმა პოლიტიკური ემიგრანტების ნაწილმა, კავკასიის ყოფილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებიდან, იმედის თვალი ბერლინს მიაპყრეს – საბჭოთა რეჟიმის დამარცხების შემთხვევაში ისინი სამშობლოში დაბრუნებასა და ფაშისტური გერმანიის დახმარებით სახელმწიფოებრიობის აღდგენას ვარაუდობდნენ.



ნაცისტები კავკასიონზე

მანიის ჯარებს, ხოლო ფაშისტების განდევნის შემდეგ ხელს უშლიან და ეწინააღმდეგევიან საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს, მალავენ ხელისუფლების ორგანიზაციების მანდიტებსა და გერმანელების მიერ დატოვებულ აგენტებს, უწყვენ მათ აქტიურ დახმარებას, – სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

- 1. ყველა ყარაჩაელი, რომლებიც ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, გადასახლდეს სსრკ-ს სხვა რაიონებში, ხოლო ყარაჩაის ავტონომიური ოლქი გაუქმდეს.
2. ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ლიკვიდაციის გამო... ყოფილი ყაზარდო-ბალყარეთის ასსრ-ის ელმურუსკისა და ნავაიანის რაიონების სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი შეუერთდა საქართველოს სსრ-ის ზემო სვანეთის რაიონს.

უჩკულანი), მთისძირი (ყოფ. კარტ-ჯურთი), ზემო ხიდისკარი, ახალხევი (ყოფ. ტაშკეპური), იალბუზი (ყოფილი ელმურუსი), მუხაიძე (ეს სახელი დაბა ვერხნი ბაქსანის ბალყარეთის მთებში, გერმანელებთან მრძოლაში დაღუპული ქართველი კაპიტანის მიხეილ მუხაიდის სსოვნის უკვდავსაყოფად ეწოდა). აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ჩრდილოკავკასიელი მეცნიერი, გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლის ფაქტებს განსხვავების, საქართველოსადმი დღესაც საკმაოდ უარყოფით განწყობას ამჟღავნებს. რაც შეეხება რაიონის ეკონომიკურ განვითარებას:

ქლუხორში აღადგინეს გერმანელების მიერ აფეთქებული ჰესი, აიკო რამდენიმე ახალი სამ-ოთხსართულიანი შენობა როგორც ადმინისტრაციისათვის, ასევე მოქალაქეებისათვის. გაძარცვული საავადმყოფო შეკეთდა და ხელახლა დაკომპლექტდა ახალი სამედიცინო აპარატურით. აიკო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ახალი აგროვებელი, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის რიგი საწარმოები... რაიონის სოფლებში აშენდა სკოლები, სახელოსნო სასწავლებლები, მიწლითოთხევი. 1945 წლის მაისში კი ექსპლუატაციაში შევიდა ქლუხორის აეროპორტი, საიდანაც ხორციელდებოდა სამგზავრო თუ სატვირთო ავიარეისები სოხუმისა და თბილისის მიმართულებით. 1944 წლიდან ქლუხორში რეგულარულად იმგვადებოდა ორენოვანი რაიონული გაზეთი „განთავი“.

კურორტ თემურდაში, რომელიც ქლუხორის რაიონის შემადგენლობაში შევიდა, შეკეთდა 23 სანატორიუმში. მსგავსი სამუშაოები განხორციელდა კურორტ დომბაიშიც.

რაიონის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ, რომელმაც 1945 წლის 14 მარტს დამტკიცდა ქლუხორის რაიონის სახელმწიფო მიუჯეტი 3 მილიარდ 945 ათასი მანეთის ოდენობით. ეს იყო პირველი მიუჯეტი, რომელიც ახალდაშენებულ ტერიტორიისთვის შემუშავდა. მის საფუძველზე 1946 წელს შეიქმნა ქლუხორის რაიონეწველობისა და რაიონული განვითარების ტრიკოტაჟის, საკერავი, ტყავის გადამამუშავებელი,

1944 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებულებით კი, რომელიც ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ლიკვიდაციისა და მისი ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის თვალისწინებდა, ყოფილი ყარაჩაის ავტონომიური ოლქის უჩკულანის რაიონი, აგრეთვე მიქთიანის რაიონის ნაწილი გადმოეცა საქართველოს სსრ-ს, აღნიშნულ ტერიტორიებზე შეიქმნა ახალი ადმინისტრაციული ერთეული – ქლუხორის რაიონი, ცენტრი – ქალაქი ქლუხორი (ყოფ. მიქთიან-შახარი).

ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა რიგი ავტონომიური წარმონაქმნების გაუქმებას მოჰყვა უმაღალითო რეპრესიები, დაპატიმრება-დახვრეტები, გადასახლებები... რა თქმა უნდა, ეს იყო საბჭოთა რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაული.

როგორც საბჭოთა არქივების დოკუმენტებისა და იმდროინდელი ოფიციალური პირების მეშუარებით ირკვევა, ავტონომიური წარ-

ხე-ტყის, ლიმონათის და სხვა საწარმოები. 1946 წლის 23 სექტემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ქლუხორის რაიონში დაიწყო ქვანახშირის ამოღება, ხოლო 1954 წელს – პოლილითონების საბადოს ექსპლუატაცია.

საინტერესოა, რომ ყარაჩაი-ჩერქეზეთში 1960-70-იან წლებში გამოცემულ სამეცნიერო-კვლევით ლიტერატურაში თითქმის არ არის განხილული ის 15-წლიანი პერიოდი, როცა რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილს საქართველო ფლობდა. იმ შემთხვევაში კი, როცა ავტონომიური იძულებული არიან საქართველო მოიხსენიონ, ამას საკმაოდ უარყოფითი შეფასებები მოსდევს.

1956 წლის აპრილის მდგომარეობით, ქლუხორის რაიონის სტრუქტურა, ადგილობრივი მმართველობის ორგანიზების მიხედვით, ასეთი იყო: ქლუხორის საქალაქო საბჭო, მალაროს, ორჭონიკიძის და კურორტ თემურდის სადაბო საბჭოები; ზემო თემურდის, მზისის, ბარის, ახალშენის და მადნისხევის სასოფლო საბჭოები. რაც შეეხება მოსახლეობას, 1956 წლის ივლისისათვის ქლუხორის რაიონის სოფლების მოსახლეობა შეადგენდა 4,1 ათას მცხოვრებელს, მათგან უმეტესობა ქართველი იყო – 771 ქართველი ოჯახი, ანუ 3 ათასზე მეტი ადამიანი.

სიმონ კილაძე, ანალიტიკოსი პაატა კოლუაშვილი, პროფესორი (დასსრული იმდობა)



ქალაქი ქლუხორი, 1947 წელი

როგორ შეიქმნა ქლუხორის რაიონი

1944 წლის 8 აპრილს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება ყაზარდო-ბალყარეთის ასსრ-ში მცხოვრებ მალყარელების გადასახლებისა და ყაზარდო-ბალყარეთის ასსრ-ის ყაზარდოს ასსრ-დ გარდაქმნის შესახებ. დოკუმენტის პრეამბულაში აღნიშნული იყო ბრძანებულების გამოცემის მიზეზები: „იმისთან დაკავშირებით, რომ გერმანელი ფაშისტების მიერ ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ოკუპაციის დროს მეფრი ყარაჩაელი გამყვებულნი მთქმედებდა, ერთიანდებოდნენ გერმანელების

სპორტი



ბატონ გრიგალაშვილი:

„ეს ჩემი კარიერის მთავარი გამარჯვებაა!“

ძარბაზიშვილმა ძიუდოსტმა ტატო გრიგალაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოგების შემდეგ EEU.net-ს ინტერვიუ მისცა, რომელშიც განვიხილეთ ტურნირზე ისაუბრა. გარდა ამისა, თქვა, რომ წინ კიდევ უფრო დიდი მიზნები აქვს და ოლიმპიური ჩემპიონობა სურს.

„შესაძლოა, ჩემთვის დამატებითი მოტივაცია იყო ნაგასეს „ოქროს არშია“, რადგან ეს მეც მიწადა. ზურგზე ოქროსფერ ფონზე სახელის დაწერა ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არ იყო ყველაზე დამაბული შეხვედრა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ უფრო მოტივირებული ვიყავი, რადგან ოლიმპიურ ჩემპიონთან დაპირისპირება რაღაც განსხვავებული და განსაკუთრებულია.“

ჩემთვის ეს სასწაულია, ჩემი ოცნება იყო მსოფლიოს ჩემპიონობა. ეს განსაკუთრებული დღეა ჩემს კარიერაში, მაგრამ ამით არაფერი სრულდება, ჯერ კიდევ ბევრი მაქვს გასაკეთებელი. თუმცა ახლა საუკეთესო დღეა ჩემს კარიერაში, ეს ოქროს მედალი ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს.“

ტაშკენტში, ჰუმო არენაზე ბევრი ქართველი გულშემართვარი მედგა მხარში, ამიტომ წაგების უფლება არ მქონდა. ძალი-

ტრიუმფი

ან ბედნიერი ვარ, რადგან მათი გახარება შეეძელი. ამან მომცა ძალა და მეტი თავდაჯერებულობა, ეს ჩემი შანსი იყო, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გავემხდარიყავი.

ოქროს მედალს ახალდაბადებულ პირველ შვილს ვუძღვნი.

მატიას კასე ამ წონაში საუკეთესო, უმაღლესი კლასის ძიუდოსტია. ის ტაქტიკურად ძლიერი და ძალიან ჭკვიანია, სუთჯერ შეგვხვდით ერთმანეთს და სამწუხაროდ, ბოლო ოლიმპიადასა და მსოფლიოს ჩემპიონატზე მასთან წავეგე, მაგრამ წელს ყველაფერი სხვაგვარად მოხდა — ევროპის ჩემპიონატის ფინალშიც ვაჯობე და ახლა მსოფლიოს ჩემპიონატის ძალიან კარგად მოვემზადე ამ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, საკუთარ თავსაც ვაჯობე, ყველა მეტოქეს და ბოლოს, საუკეთესოს, მატიას კასეს.

ქართული სული, ქართული ვენება ამ გამარჯვების მიზეზი. ჩვენ ჩვენი ერის მებრძოლები ვართ და ეს გამარჯვება გულიდან მოდის“, — თქვა გრიგალაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ტატო გრიგალაშვილი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ძიუდოში მეექვსე მსოფლიოს ჩემპიონია (ლაშა შავდათუაშვილის, ლუსუმ ჩხვიმიანის, ირაკლი ცირეკიძის, გურამ თუშიშვილისა და ავთანდილ ჭრიკიშვილის შემდეგ). გრიგალაშვილმა მიმდინარე წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა და ევროპისაც. ზოგადად, 22 წლის ასაკში უკვე ევროპის ორგზის ჩემპიონია, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ვერცხლის მედალსაც ფლობს.

საქართველოს დელეგაციას ტაშკენტში ბრინჯაოს მედლები ლაშა ბექაურმა და ლუკა მაისურაძემ მოუტანეს.

რაგბი ჩვენი თაგაშია

ზაღიზაღ გეოთხაღ!

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა პორტუგალიელი თანატოლები 34:10 დაამარცხეს და ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის ტიტული.

18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს საქართველომ პირველად უმასპინძლა და თამაშები თბილისსა (რაგბი პლატო) და რუსთაველი გაიმართა. გადამწყვეტ თამაშში „ხარები არენაზე“ საქართველომ მეტოქე პირწმინდად დაჯაბნა და თასი დამსახურებულად შემართა.

უამინდობის მიუხედავად უმცროსი ბორჯღალოსნების საკომანდო გულშემატიკვარი რუსთავეის სტადიონზე მრავლად მივიდა და ბიჭებმა მათ თავდადებული თამაშით გადაუხადეს მადლობა. ქარმა და წვიმამ ხარისხს თავისი ხელი დაატყო, თუმცა ჩვენი გუნდის დომინანცია წამითაც არ დამდგარა ეჭვს ქვეშ. ზურაბ ამონაშვილის შეგირდები მეტოქეს ყველა კომპონენტში ჯაბნინდნენ და 5 ლელო გაიტანეს.

პორტუგალიელთა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ბოლომდე იბრძოდნენ და ორი წლის განმავლობაში საქართველოს პირველი ლელო გაუტანეს.

თამაში თავიდანვე საქართველოს შეტევებით დაიწყო. ფორვარდები ყველა ჯერზე ახერხებდნენ უპირატესობის ხაზის გადაკვეთას, მე-3 წუთზე მეტოქე დააჯ-

არიმეს და ლუკა ცირეკიძემ 38 მეტრიდან ანგარიში გახსნა. მე-11 წუთზე პორტუგალიამ ჩვენი შეცდომით ისარგებლა, ლუკა ჭინჭარაულს ბოჭვისას ბურთი დაუფარდა, სტუმრებმა მას ფეხი მიკრეს და ლელო გარდასახვით დანიშნურდნენ. ამან მასპინძლები არ დააბნია, მე-15 წუთზე ჯარიმა უკვე აუტში გადავიტანეთ, 5-მეტრიანი დერეფნიდან მოლი ავაგორეთ და მიხეილ ხახუბიამ ლელო გაიტანა,



ცირეკიძემ კი რთული პოზიციიდან გარდასახა.

23-ე წუთზე უმცროსმა ბორჯღალოსნებმა მეორე ლელო გაიტანეს. თითქმის კარის წინ დანიშნული შერკინებიდან ალექსანდრე ჯილაურმა შეუტია, გრძელი გადაცემით ლუკა სორბალაძე მოძებნა და მანაც სისწრაფეში ლელო ალამთან გაიტანა. ტაიმის მიწურულს საქართველომ ლამაზი ხელდახელ შეტევა განახორციელა, ტატო ბურთიკაშვილმა ხაზი გაჭრა და ფინტებით დაახლოებით 20 მეტრი ირბინა, ამას ფორვარდების დარტყმები მოყვა, მერე გიორგი ხაინდრაავა შევიდა კარის წინ, რაქიდან ბურთი ხაზზე სწრაფად გაიშალა

მოვიდა დრო, ჩვენ კი არ გვეზინოდეს ვინმესი, არამედ პირიქით — აქეთ უნდა გვიფრთხოდეს ყველა.

საუბარია მომავალი კონტინენტური ფორუმის წილისყრაზე, რომელსაც ფრანკფურტში უმასპინძლა და „ა“ ჯგუფში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მეტოქეებად ესპანეთი, შოტლანდია, ნორვეგია და კვიპროსი არგუნა.

წერილის შესავალში ტყუილად არ გაგვიმახვილებია ყურადღება „ჯვაროსანთა“ ამბიციების საფუძვლიანობაზე, რადგან ჩვენს გუნდს თაობის გამოკვეთილი ლიდერი ხეიჩა კვარაცხელია ჰყავს, რომელიც საკლუბო დონეზე უკვე იქცა საფეხბურთო ევროპის სეზონის აღმოჩენად და ვიმედოვნებთ, ზემოთ ჩამოთვლილი კვარტეტისთვისაც იქცევა თავის ტკივილად, მით უმეტეს, მან პი-

რვენი კოზირებით

რენელებთან მუნდიალის შესარჩევ ციკლში უკვე ისახელა თავი და მხოლოდ ბოლო ნამებზე გავუშვით საბედისწერო ბურთი.

რაც შეეხება დანარჩენებს, სქოთები თბილისში ორჯერ გვყავს დამარცხებულნი, სკანდინავიელებთან სატრაბახო ჯერჯერობით არაფერი გვაქვს, რასაც ადამიანი-გოლის ჰალანდის ფაქტორიც ემატება, ხოლო კუნძულელთა ახალი თავკაცი თემურ ქეცბაია გაცხადდა.

რადგან „ნაპოლის“ დებიუტანტი ვახსენეთ, დავძენთ, რომ სერია — ა-ს მორიგი შეხვედრა სტუმრად 4:1 მოუგო ლუკა ლორიშვილის „კრემონეს“ და

ერთპიროვნულად დანიშნურდა სკუდეტოსთვის ბრძოლაში, დღეს კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მეორე წრის სტარტზე ამსტერდამის „აიაქსს“ უმასპინძლებს, რომელსაც ერთი კვირის წინათ ნიდერლანდებში შავი დღე აყარა — 6:1.

სხვათა შორის, „კვარამ“ გამოიმუშავებული პენალტითა და შედეგადანი გადაცემით კრემონაშიც გაიბრწყინა, რაც ალარავის უკვირს.

ახლა კი გერმანული ევრო — 2024-ის წილისყრის სრულ შედეგებს განვიხილავთ:

„ა“ ჯგუფი. ნიდერლანდები, საფრანგე-

თი, ირლანდია, საბერძნეთი, გიბრალტარი. „ბ“ ჯგუფი. იტალია, ინგლისი, უკრაინა, ჩრდილოეთ მაკედონია, მალტა. „დ“ ჯგუფი. ხორვატეთი, უელსი, სომხეთი, თურქეთი, ლატვია. „ე“ ჯგუფი. პოლონეთი, ჩეხეთი, ალბანეთი, ფარერები, მოლდოვა. „ვ“ ჯგუფი. ბელგია, ავსტრია, შვედეთი, აზერბაიჯანი, ესტონეთი. „ზ“ ჯგუფი. უნგრეთი, სერბეთი, მონტენეგრო, ბულგარეთი, ლიეტუვა. „თ“ ჯგუფი. დანია, ფინეთი, სლოვენია, ყაზახეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, სან მარინო. „ი“ ჯგუფი. შვეიცარია, ისრაელი, რუმინეთი, კოსოვო, ბელარუსი, ანდორა. „კ“ ჯგუფი. პორტუგალია, ბოსნია, ისლანდია, ლუქსემბურგი, სლოვაკეთი, ლიხტენშტაინი.

მუნდიალი

მოგებით დავიწყეთ

სამართმელოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფი-

კაციო ეტაპის მიენ-რაუნდი გამარჯვებით დაიწყო. ამთბან-დილ ბსატიანის გუნდმა თბი-



ლისი არენაზე ბელგიის ნაკრებს 4:2 სძლია.

ჩვენმა გუნდმა ანგარიში პირველი ტაიმის ბოლო ნამებზე ბინოს ზუსტი დარტყმით გახსნა. მეორე ნახევარში საქართველოს ნაკრების რიგებში თავი ფერწანდომ, რონინიომ და თალესმა გამოიჩინეს. სტუმართა მხრიდან კი გოლები რაჰუსა და ელ ფაკირის ანგარიშზეა.

მიენ-რაუნდის მეორე ტურის შეხვედრას საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები დღეს ავსტრიაში გამართავს.

ავთანდილ ასათიანი (საქართველოს ფუტსალის ნაკრების მთავარი მწკრთელი): „ვიცნობდი, რომ რთული მატჩი იქნებოდა. ჩანდა, რომ ბელგიის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდი იყო. პირველ თამაშში ყოველთვის უფრო მეტი მოტივაციაა სამი ქულის აღების.“

ამერიკალი

სეზონის სტარტი

2022-2023 წლების საკალაბურთო სეზონი ტრადიციულად დუდუ დადიანის მემორიალით დაიწება. საქართველოს საკალაბურთოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის სსოვნის ტურნირი სტარტს დღეს ოლიმპიურ სასახლეში აიღებს და მასში მონაწილეობას სუპერლიგის თერთმეტივე გუნდი მიიღებს.

დუდუ დადიანის მემორიალზე მოასპარეზე გუნდები 3 ჯგუფში განაწილდნენ. თავდაპირველად მონაწილეები ერთმანეთს ერთ წრეში დაუპირისპირდებიან, რის შემდეგაც ჯგუფში პირველი ადგილის მფლობელები ნახევარფინალში გავლენ. მეოთხე გუნდი, რომელიც ნახევარფინალს შეავსებს, საუკეთესო მეორეადგილოსანი იქნე-



ბა. დებულების თანახმად, ერთ ჯგუფში მყოფი გუნდები ნახევარფინალში ერთმანეთს არ შეხვდებიან.

ჯგუფური ეტაპის მატჩები 12, 13, 14 და 15 ოქტომბერს გაიმართება, ნახევარფინალური შეხვედრები 16 ოქტომბერს ჩატარდება, ხოლო ფინალური დაპირისპირება 18 ოქტომბერს ოლიმპიურ სასახლეში დაინშნული.

საქართველოში უხვლის მიზნით ქორწინებაზე იძულება და პირის დაყოლიებას დაყოლიება ანაშაულია!

„სისხლის სამართლის კოდექსს“ ახალი დებულება ემატება, რომელიც დანაშაულად აცხადებს საქართველოში უხვლის მიზნით, ქორწინებაზე იძულებას და პირის დაყოლიებას, თუ ამას მოჰყვება ქვეყანაში შემოსვლისკენ მიმართული კონკრეტული ქმედებები. აღნიშნული ცვლილებები ევროკომისიის მე-9 რეკომენდაციიდან გამომდინარე, მომზადდა, რომელიც გულისხმობს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევას განსაკუთრებულ კონსოლიდაციას.

კანონპროექტის მიხედვით, ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებულის) იძულების მიზნით პირის დაყოლიება.

საქართველოში შემოსავლელად, თუ ამას მოჰყვება ქვეყანაში შემოსვლისკენ მიმართული ქმედებები, დაისჯება – საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული



უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. ამასთან, ცვლილებებით, ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებულის) იძულება, დაისჯება – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე, ან და თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. კანონპროექტით კონკრეტდება, რომ თუ ზემოთ აღნიშნული ქმედება ჩადენილი იქნება – წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ; არაერთგზის; ოჯახის წევრის მიმართ; გენდერის ნიშნით, დაისჯება – თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

საქართველოში აბორტთან დაკავშირებით კანონმდებლობა გამკაცრდა. შესაბამისი ცვლილებები – „სისხლის სამართლის კოდექსში“ შედის, რომელიც ევროკომისიის მე-9 რეკომენდაციებიდან გამომდინარეობს, რაც გულისხმობს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევას განსაკუთრებულ კონსოლიდაციას.

კანონპროექტის მიხედვით, ორსულობის შეწყვეტა მსხვერპლის (ორსული) წინასწარი ინფორმირებული თანხმობის გარეშე, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით – ვადით ოთხიდან რვა წლამდე.

პროექტით კონკრეტდება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედება გამოიწვევს სიცოცხლის მოსპობას, ეს დაისჯება – თავისუფლების აღკვეთით – ვადით ხუთიდან ცხრა წლამდე. პროექტის მიხედვით, თუ ეს ქმედება, ჩადენილი იქნება: დამანაშავესთვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ; ორი ან ორზე მეტი პირის მიმართ; ოჯახის წევრის მიმართ; ჯგუფურად; გენდერის ნიშნით; რასობრივი, რე-

ლიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; განსაკუთრებული სისასტიკით; არაერთგზის; ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით; მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან და სხვაგვარად გამოყენების მიზნით; ანგარებით ან შეკვეთით; სულიერ კვება გრძობით; მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით; იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 108-ე ან 109-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა; მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 133-ე, 1331 და 1502 მუხლებით გათვალისწინებული როგორიმე დანაშაული, ეს ქმედება დაისჯება – თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან ცამეტ წლამდე.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, ცვლილებების მიხედვით, თუ ეს ქმედება გამოიწვევს სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგს, –

დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით – ათიდან თოთხმეტ წლამდე, თუ იგივე ქმედება ჩადენილი იქნება დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით; რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უფადო თავისუფლების აღკვეთით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. კანონპროექტის მიხედვით, აბორტის იძულება გამოიყოფა სპეციალურ შემადგენლობად და უფრო მკაცრი სასჯელი იქნება გათვალისწინებული. კერძოდ, პროექტით, ორსულობის შეწყვეტის იძულება, დაისჯება – თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე, თუ იგივე ქმედება, ჩადენილი იქნება: ჯგუფურად; დამანაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ; არაერთგზის; იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 133-ე, 1331 და 1333 მუხლებით გათვალისწინებული როგორიმე დანაშაული; ოჯახის წევრის მიმართ; გენდერის ნიშნით, დაისჯება – თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

პროექტით განისაზღვრება, რომ თუ იგივე ქმედება გამოიწვევს სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგს, დაისჯება – თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თერთმეტ წლამდე.

ჩვენი გზები ისევ საშიშია

სამწუხარო რეალობაა, რომ საქართველოს გზებზე ყოველდღიურად უამრავი ავარია ხდება. სტატისტიკის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა ევროპაში გზებზე სიკვდილიანობით კვლავ მაღალ მაჩვენებელს იკავებს. ეს რიცხვი 2.7-ჯერ აღემატება ევროპის ქვეყნების გზებზე სიკვდილიანობის რაოდენობას.

საქართველოში 100 ათას მოსახლეზე ყოველწლიურად 12 ადამიანის გარდაცვალების შემთხვევა დასტურდება, როცა ევროპის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 4.4-ია. გზებზე სიკვდილიანობას იწვევს უმეტესად სიჩქარის გადაჭარბება, ასევე არაფრის ბელ

მდგომარეობაში მანქანის მართვა და ა.შ. ამ საავტომობილო შედეგის გათვალისწინებით, შსს მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე დარაბევიძემ, პარლამენტში წარადგინა კანონპროექტი, რომელიც განვირეგობს დამატებითი ჯარიმები, რაც სიჩქარის გადაჭარბებისა და სხვა დარღვევებისთვის მძღოლებს დაეკისრება.

იმედია, ეს კანონი ცოტათი მაინც შეცვლის, იმ სამწუხარო რეალობას, რაც ჩვენს ქვეყანაშია. გუშინწინ კიდევ ერთი დიდებული ახალგაზრდა, თერჯოლის მერი ლაშა გოგიაშვილი ემსხვერპლა ავტო-საგზაო შემთხვევას.

მოამზადა რუსუდან ქოზულიაძე



ქათარზისი

საერთაშორისო ჰუმანიტარული კავშირი (ასოციაცია)

International Humanitarian Union (Association)

Catharsis

ასოციაცია „ქათარზისი“ მოგმართავთ თხოვნით თქვენს გაზეთში, ერთი თვის მანძილზე, უსასყიდლოდ განათავსოთ შემდეგი განცხადება: ვინცევეთ ასოციაცია „ქათარზისის“ თავშესაფარში ცხოვრების მსურველ საპენსიო ასაკის, თვითმოვლის უნარის მქონე ხანდაზმულ ქალბატონებს.


დეტალური ინფორმაციისთვის მსურველები დაგვიკავშირდნენ 10 სთ-დან 18 სთ-მდე. ტელ: 2957876, 558194130

ზაურ (ოლეგ) ალადაშვილი „ქათარზისის“ პრეზიდენტი

ძარბაზული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, IX-X საუკუნეების პალიმფსესტური სახარება, თბილისში დღეს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიასა და ეცერის თემის წარმომადგენლებთან შეთანხმებით ჩამოიტანეს. ტრანსპორტირების პროცესს იუსტიციის მინისტრის მოადგილე ზუბალოშვილი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თვა წულუკიანი, ეროვნული არქივის დირექტორი თეონა იაშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

უნიკალური ხელნაწერი ეროვნულ არქივში სარესტავრაცი-

ქურაშის ოთხთავს პირველი სახით ვინილაპო



ციო სამუშაოებისთვის 18 თვეს დარჩება, შემდეგ კი, სრულად რესტავრირებული ოთხთავი კვლავ ეცერის თემში დაბრუნ-

დება. სამუშაოების გეგმა-გრაფიკი ოთხთავის დაზიანების ხარისხის დადგენის შემდეგ განისაზღვრება.

რესტავრაციას ეროვნული არქივის დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიის რესტავრატორები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიური პროცესის სრული დაცვით შეასრულებენ, რაც გაზრდის უნიკალური

დოკუმენტის დაცულობის ხარისხსა და მისი შენახვის ხანგრძლივობას.

ქურაშის სახარება სვანეთში დაცული მეორე ხელნაწერია, რომელიც რესტავრაციის პროცესს ეროვნული არქივის ლაბორატორიაში გაივლის. 2021 წელს აქ ლახაშვილის XII საუკუნის ოთხთავის სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა. უნიკალურ ხელნაწერებზე მუშაობის შესაძლებლობას ლაბორატორიის თანამედროვე, ევროპული სტანდარტის შესაბამისი მასალა-დანადგარები და რესტავრატორთა მაღალი პროფესიონალიზმი განაპირობებს.



შალვა ძიმძის სახელობის ქართული კარიკატურის ფესტივალი

შალვა ძიმძის სახელობის ქართული კარიკატურის ფესტივალის მთავარი პრიზი და ფულადი პრემია, თეორიის გადამწყვეტილებით, ქართველ კარიკატურისტებს ზაალ სულაკაურს და კემოს (ნიკა კემულარიას) გადაეცათ.

ფესტივალი 5-7 ოქტომბერს არასამთავრობო ორგანიზაციის „ART&SOCIETY“ ორგანიზებით გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა მასტერკლასები და ლექციები ქართული კარიკატურის თანხის, მისი განვითარებისა და მნიშვნელობის შესახებ. ლექციებს ხელოვნებათმცოდნეები ირინა აბესაძე და სალომე ჭანტურიძე, მასტერკლასებს კი ქართველი და უცხოელი კარიკატურისტები უძღვებოდნენ.

ფესტივალი საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა. ფესტივალის ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები გამოიფინა დასკვნით ღონისძიებაზე, სადაც წელს პირველად, შალვა ძიმძის სახელობის ქართული კარიკატურული პრემიის (3000 ლ) და მთავარი პრიზის გადაცემა მოხდა. პროექტის ფინანსური მხარდაჭერა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

„მოგზაური“ კატა

კატა, რომელიც კალიფორნიის შტატში დაიკარგა, 6 წლის შემდეგ აიდაპოს შტატის თავშესაფარში იპოვეს. 2013 წელს ქალაქ კლოვისში მცხოვრებმა, სიუზან მურმა თავშესაფრიდან კატა შეიფარა და პარიტი დაარქვა. 3 წლის შემდეგ ის სახლიდან დაიკარგა.



6 წლის შემდეგ, ქალს აიდაპოდან დაურეკეს და უთხრეს, რომ მისი კატა ქალაქ შვიდენში იპოვეს, რომელიც მურის სახლიდან 1600 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. თავშესაფრის თანამშრომლებმა კატის პატრონს მიკროჩიპის დახმარებით მიაგნეს.

უიშვიათისი ზებრები გვალვის ბაგო ილუპებინა

კენიაში თითქმის 2-წლიანი გვალვის გამო მსოფლიოში უიშვიათისი ზებრის სახეობების 2% განადგურდა. ასევე გაიზარდა სპილოების განადგურების შემთხვევებიც. კლიმატური კრიზისი აზიანებს აღმოსავლეთ აფრიკის ველურ ბუნებას.

„თუ მოახლოებული წვიმების სეზონი არ იქნა, ზებრებს სერიოზული საფრთხე ემუქრებათ“, — ამბობს Grevy's Zebra Trust-ის დამფუძნებელი ბელინდა ლოუ მაკი. მისივე თქმით, ყველაზე გვალვაგამძლე ცხოველებიც კი განიცდიან ზემოქმედებას. ერთ-ერთი აქლემია, რომელიც, როგორც ცნობილია, დიდხანს ძლებს წყლის გარეშე. სპეციალისტები შიშობენ, რომ გადაშენების პირას მყოფი კიდევ ბევრი სახეობა დაილუპება. გაერთიანებული



ერბების ორგანიზაციის განცხადებით, ეს არის რეგიონის ყველაზე საშინელი გვალვა ბოლო 40 წლის განმავლობაში. ოთხ მილიონზე მეტი კენიელი გვალვის გამო სრულფასოვან საკვებს ვერ იღებს, ხოლო 3 მილიონზე მეტი ვერ სვამს საკმარის წყალს.



მერკელმა ბაპროს პრემია მიიღო

ბერმანის ყოფილი კანცლერმა ანგელა მერკელმა გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის პრემია მიიღო მიგრაციული კრიზისის დაძლევაში შეტანილი წვლილისთვის.

საუბარია ევროპაში ახლო აღმოსავლეთიდან მილიონობით ლტოლვილის ჩასვლაზე, რასაც ადგილი ჰქონდა, ძირითადად 2015-2016 წლებში სირიაში, იემენში და სხვა ქვეყნებში შეიარაღებული კონფლიქტების დროს. ნანსენის სახელობის პრემია მას ლტოლვილთა პრობლემის მოგვარებაში „განსაკუთრებული წვლილისთვის“ გადაეცა. დაჯილდოების ცერემონია ჟენევაში გაიმართა. მერკელმა განაცხადა, რომ მიგრაციული კრიზისის მოგვარებაში უდიდესი წვლილი თითოეულ გერმანელს მიუძღვის, რომლებმაც სირიელ დევნილებს მხარი დაუჭირეს.

მერკელმა ფულადი ჯილდოც მიიღო 150 000 დოლარის ოდენობით, რომელიც მან სხვა ლაურეატებს გადასცა. მათ შორის არიან ურაყი ექიმები, ასევე ქალი, რომელიც წლების განმავლობაში კოსტარკაში მყოფ ლტოლვილებს ეხმარება. მიგრაციული კრიზისის ყველაზე მწვავე პერიოდში ანგელა მერკელმა გერმანიაში 1,2 მლნ სირიელი ლტოლვილი მიიღო. ეს გადაწყვეტილება მაშინ ბევრმა გერმანელმა პოლიტიკოსმა, მათ შორის მთავრობის წევრებმა გააკრიტიკეს.

სტიქია

ვენესუელაში

ვენესუელის ქალაქ ლას ტეხერასში მეწყერს 36 ადამიანი ემსხვერპლა. 56 კი დაკარგულად ითვლება. დაღუპულთა შორის ორი მცირეწლოვანი ბავშვია.



სტიქიის გამო, პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ ქვეყანაში სამდღიანი გლოვა გამოაცხადა. სამძებრო-სამაშველო ოპერაციაში ათასამდე მამაკაცი ჩართულია. ძლიერი წვიმის გამო მდინარე ელ პატო დედაქალაქ კარაკასიდან, სამხრეთ-დასავლეთით 50 კილომეტრში ნაპირებიდან გადმოვიდა, რის შედეგადაც, ნიაღვრმა წაიღო ხეები, მანქანები და საცხოვრებელი სახლები. დასახლება ლას ტეხერასში შეწყვეტილია ელექტროენერჯის მიწოდება.



მსუბუქი წყალდიდობა ნიგერიაში

სამხრეთ ნიგერიის დატოვებისას ნაგში მყოფი 80 ადამიანი დაიღუპა. ისინი მასშტაბური წყალდიდობისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ, რა დროსაც ნაგი ამოტრიალდა.

ქვეყნის საგანგებო სიტუაციების მართვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ამ მხარეში ბოლოდროინდელი წყალდიდობის გამო 600 000-მდე ადამიანს საცხოვრებელი სახლების დატოვება მოუწია. მიმდინარე წელს სტიქიის შედეგად ნიგერიაში საერთო ჯამში სულ მცირე 300-მდე ადამიანი დაიღუპა და ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი დაზარალდა. წითელი ჯვრის ინფორმაციით, ნიგერიის და ბენუეს გასწვრივ ცხრა რაიონი დაზარალდა.



უსტორიი ვაჭრის ქარსი:
 აუუ ფონი - 2.7980; ვიპო - 2.7124
 ბრითანული პირამიდა სტატიონი - 3.0935;
 100 რუბლი - 4.4689; თურქული ლირა - 0.1506;
 ანკარაპირამიდა მანათი - 1.6496;
 1000 სომხური დრამი - 6.9395.

აიენდი 12 ოქტომბრისთვის

| | | | |
|-------------------------|-----|------|--------|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარა - | ლამ | +6, | ლფ +23 |
| მთიანი რაიონები - | ლამ | +1, | ლფ +19 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარა - | ლამ | +8, | ლფ +22 |
| მთიანი რაიონები - | ლამ | +2 | ლფ +20 |
| თბილისი: | ლამ | +10, | ლფ +23 |

დაგვიკავით, მოგვწერით:
 ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
 ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
 და sakresp@mail.ru
 ვებ-გვერდი: www.sakresp.ge

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
 შპს შპს-საქართველო №170
 მთავარი რედაქტორი
 სპარტაკ ძოგულია
 599 36-00-35
 პასუხისმგებელი რედაქტორები:
 გურამ გომიაშვილი
 599 53-76-16;
 ალექს
 ასლანიშვილი
 599 56-81-86;
 პასუხისმგებელი მდივანი
 მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „ახალი საუკუნე – გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 599 53-76-16; 599 36-00-35
 შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 იზაბელა სტამბა
 „კოლორი“
 ე. პალაძის №3

კოდონ ჰაუფი
 uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
 2 009882 616932

ავტორთა სახურა დედაქალაქი!
 რედაქციის მიერ შეუქმნათვის მასალაზე დაიბეჭდება
 ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაქმლვა, გუდაამ არ ემთხვევა დასაქმლის პოზიციას. ფაქტების სიუსტაზე პასუხს ავებან ავტორები.

გაზეთის მომსახურე ნომერი
გამოვა ხუთშაბათს, 13 ოქტომბერს